ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2024 წლის 22 იანვარი

ქ. ჩხოროწყუ

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (www.matsne.gov.ge, 06/11/2015 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.107.016194) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ასანაზღაურებელი ხარჯების ზღვრული ოდენობა

საკრებულოს წევრების მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯების ზღვრული ოდენობა (ზღვრული ოდენობა) შეადგენს 900 (ცხრაასი) ლარს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შოთა წურწუმია**